სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/105

ქ. თბილისი 22 05 2019 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019 წლის საშემოდგომო მიღებაზე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რეგისტრაციის ვადების შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აპლიკანტები, რომლებიც 2019 წლის საგაზაფხულო მიღებაზე პროფესიული ტესტირების საფუძველზე მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, 2019 წლის 24 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ.დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტებზე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა (იხ.დანართი №2).
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელი).
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

დანართი № 1

1. სამშენებლო ფაკულტეტი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“, კოსტავას N68, სტუ-ის I კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი №422, საკონტაქტო ტელეფონი 593905501;

2. სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „სამთო ტექნიკოსი“, „სამთო ელექტრომექანიკოსი“, ქ.ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი №4, საკონტაქტო ტელეფონი 599 988 927; 599 304 642

დანართი №2

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. დაბადების მოწმობა/პირადობის მოწმობა/პასპორტი და ასლი;
2. 2 ფოტოსურათი (3x4სმ) ამობეჭდილი და ელექტრონული ვერსია კომპაქტ-დისკზე (CD);
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული დოკუმენტები - საბაზო/სრული განათლების ატესტატი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი.